



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

“საქართველოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია”

დამტკიცებულია საერთო კრების მიერ

2020 წლის 10 იანვარი

წ ე ს დ ე ბ ა

რეგისტრაციის № 19-002
(მე-2 რევიზია)

**საქართველოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის
დაცვის ასოციაცია**

**Occupational Safety and Health Association of Georgia
(OSHA of Georgia)**

2020 წელი
თბილისი, საქართველო



I. საქართველოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციის ხედვა, მიზანი და ამოცანები

- 1.1. საქართველოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია. (შემდგომში ასოციაცია) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ასოციაცია საქმიანობს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი წესების შესაბამისად.
- 1.2. ასოციაციის ხედვა:
ყველა სექტორში და საქმიანობის ყველა მიმართულებით შრომის უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების გატარება გახდეს ნებისმიერი საქმიანობის დაწყებისწინა მომზადების განუყოფელი ნაწილი.
- 1.3. ასოციაციის მთავარი მიზანი:
 - 1.3.1. საქართველოში კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შრომის უსაფრთხოების დაცვის სისტემის ჩამოყალიბების და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
 - 1.3.2. შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
 - 1.3.3. საქართველოს საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
- 1.4. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი ამოცანები:
 - 1.4.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით;
 - 1.4.2. საგანმანათლებლო საქმიანობა შრომის უსაფრთხოების სისტემური მართვის მიმართულებით;
 - 1.4.3. საქართველოში შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტების განვითარების ხელშეწყობა;
 - 1.4.4. პროექტებისა და აქტივობების განხორციელება მიმართული ადამიანის უფლებების, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერებისა და ხელშეწყობისთვის;
 - 1.4.5. სხვადასხვა მიმართულებებით შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობი პროექტების განხორციელება;
 - 1.4.6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პროფესიული დაოსტატება და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
 - 1.4.7. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიის პოპულარიზაცია და შრომის უსაფრთხოების სფეროში დასაქმების ხელშეწყობა.
 - 1.4.8. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების უფლებების დაცვა.
- 1.5. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების თანახმად.
- 1.6. ასოციაცია ეწევა აღნიშნული პროფილის ფარგლებში ნებისმიერ საქმიანობას და შეიძლება ეწეოდეს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით და ემსახურება ასოციაციის მიზნების განხორციელებას.



1.7 ზოგიერთი საქმიანობა, რომლის ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, ასოციაციას შეუძლია განხორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება საზოგადოებას ექნება ნებართვის მიღების მომენტიდან.

II. ასოციაციის სახელწოდება

2.1 ასოციაცია რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიულ პირს, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ა(ა)იპ;

2.2 ასოციაციის სრული დასახელება:

- ქართულ ენაზე – საქართველოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია
- ინგლისურ ენაზე – **Occupational Safety and Health Association (OSHA) of Georgia**

III. ასოციაციის იურიდიული მისამართი

3.1 ასოციაციის იურიდიული მისამართია:

საქართველო, ქ.თბილისი, 0158,
აეროპორტის დასახლება №126, ოთახი №31.

3.2 ასოციაციას შეიძლება ჰქონდეს სხვა მისამართზე განლაგებული ოფისები (და/ან ფილიალები), როგორც ქვეყნის ფარგლებში ასევე მის გარეთ, რომელთა ადგილსამყოფელი განისაზღვრება ასოციაციის ხელმძღვანელების მიერ საქმიანობის განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე.

3.3 ასოციაციის ფაქტობრივი მისამართი გამოქვეყნებული არის ასოციაციის ვებ-გვერდზე.

IV. ასოციაციის მართვა

4.1 ასოციაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის ასოციაციის წევრთა საერთო კრება. ყველა წევრს აქვს ერთი ხმა. ცვლილებები ასოციაციის მიზნებსა და წესდებაში შეიძლება განხორციელდეს ასოციაციის წევრთა 4/5-ით.

4.2 ასოციაციის მმართველობას კრებათა შორის ახორციელებს ასოციაციის გამგეობა.

4.3 ასოციაციას აქვს უფლება იყოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება გამგეობის სხდომაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.

4.4 ასოციაციის წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ ასოციაციის გამგეობამ უნდა აცნობოს ყველა წევრს წერილობით (ტელეფონზე სმს შეტყობინებით ან/და



ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებით), ორი კვირით ადრე საერთო კრების ადგილისა და დროის შესახებ. შეტყობინებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული წევრთა საერთო კრების დღის წესრიგი.

4.5 ასოციაციის საერთო კრება:

- 4.5.1 კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების ფარდობითი უმრავლესობით ირჩევა ასოციაციის გამგეობას 5 წარმომადგენლის შემადგენლობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა საერთო კრების მიერ დადგენილი წესით. გადაწყვეტილება ფორმდება კრების ოქმის სახით;
- 4.5.2 საჭიროების შემთხვევაში კენჭს უყრის ასოციაციის სხვადასხვა მმართველი ორგანოების სამოქმედო ინსტრუქციებს;
- 4.5.3 ამტკიცებს გამგეობის თავმჯდომარეს და მისი მოქმედების არეალს;
- 4.5.4 ისმენს და ამტკიცებს გამგეობის ანგარიშს;
- 4.5.5 კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების ფარდობითი უმრავლესობით ირჩევა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს 3 წარმომადგენლის შემადგენლობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა საერთო კრების მიერ დადგენილი წესით. გადაწყვეტილება ფორმდება კრების ოქმის სახით;
- 4.5.6 იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციისა და თვით-ლიკვიდაციის შესახებ; აგრეთვე გადაწყვეტილებას დარჩენილი ქონების შესახებ;
- 4.5.7 წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.
- 4.5.8 საჭიროების შემთხვევაში განიხილავს და ამტკიცებს წესდების ცვლილებებს.

4.6 ასოციაციის წევრთა მეთვალყურეობით მოთხოვნით და კრების დღის წესრიგის დართვით იმართება რიგგარეშე საერთო კრება

4.7 საერთო კრებებს შორის პერიოდში ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელსაც 3 (სამი) წლის ვადით ირჩევა საერთო კრება.

V. ასოციაციის დამფუძნებლები და ასოციაციის მართველობა

5.1 დამფუძნებლები:

- 5.1.1 დავით მაზმიშვილი
მცხოვრები: აეროპორტის დასახლება 126, ბინა 31, 0158, თბილისი
- 5.1.2 მურთაზ რატიანი
მცხოვრები: ძმები კაკაბაძეების ქ. 9, 0108, თბილისი
- 5.1.3 ნათია გაბელია
მცხოვრები: ყიფშიძის 12, ბ.61 0162, თბილისი
- 5.1.4 დავით ფხალაძე
მცხოვრები: ქ. თბილისი, ართვინის 1-ლი ჩიხი 6.
- 5.1.5 ლევან ცხადაძე
მცხოვრები: ქ.თბილისი, ვარკეთილი-3, მე-3 მ/რ, კორპ. 305, ბინა24.
- 5.1.6 შალვა მაზმიშვილი
მცხოვრები: ქ. თბილისი, რკინიგზის ბინა №3ა, ოთახი №33;



5.1.7 გია ივანიშვილი

მცხოვრები: თიანეთის ქუჩა 46, 0141, თბილისი

5.2 გამგეობის 5 კაციანი წევრების შემადგენლობა ირჩევა 3 წლის ვადით.

5.2.1 გამგეობის ყოველი შემდგომი ახალი წევრების არჩევა ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ;

5.2.2 წარდგენილ ყოველ ახალ გამგეობაში დასამტკიცებელ კანდიდატთა შორის უნდა იყოს მინიმუმ ერთი წევრი ძველი გამგეობიდან.

5.2.3 გამგეობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვს წევრთა მეთედს. კანდიდატებზე ინფორმაციის მიწოდება ხდება გამგეობისთვის წერილობით საერთო კრებამდე და კანდიდატებთან გასაუბრება მათ განსახორციელებელ პროგრამასთან დაკავშირებით ხდება საერთო კრებაზე;

5.2.4 გამგეობის წევრების და თავმჯდომარის პოზიცია შეიძლება იყოს ანაზღაურებადი.

5.3 გამგეობა:

5.3.1 ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს;

5.3.2 განაგებს ასოციაციის ქონებას;

5.3.3 მოიწვევს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საერთო კრების გამართვას;

5.3.4 ამტკიცებს საწევრო შენატანის ოდენობას;

5.3.5 უზრუნველყოფს ასოციაციის მიზნების განსახორციელებლად სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებას, ქმნის განყოფილებებს, სამუშაო ჯგუფებს და ამტკიცებს პროგრამათა დირექტორებს;

5.3.6 იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ფილიალების შექმნის შესახებ, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს, აგრეთვე ამტკიცებს მათ დებულებებს;

5.3.7 აფუნდებს ასოციაციის საწარმოებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

5.3.8 განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის წევრობის კანდიდატებზე, და ასევე წევრობიდან გასვლის შემთხვევებზე;

5.3.9 იღებს სხვა გადაწყვეტილებებს ასოციაციის მიზნების მისაღწევად;

5.3.10 გამგეობის თითოეული წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა გამგეობის კრების მუშაობაში და არ დასწრების შემთხვევაში წერილობით შეატყობინოს გამგეობას (მიზეზის მითითებით);

5.3.11 საჭიროების შემთხვევაში ამზადებს ასოციაციის წესდების ცვლილებებს და წარუდგენს საერთო კრებას დასამტკიცებლად.

5.4 გამგეობის წევრებს და თავმჯდომარეს აქვთ უფლება დაიკავონ ასოციაციაში საშტატო, პროგრამის ხელმძღვანელის ან სამუშაო წევრის თანამდებობები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე თუ აღნისნულზე არსებობს გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

5.5 ასოციაცია პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიაღვათ მესამე პირებს გამგეობის წევრების ან სხვა წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.



5.6 გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ და მოიწვევა გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია თუ ესწრება სხდომას წევრთა ნახევარზე მეტი.

5.7 გამგეობის თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა. ნებისმიერი საკითხი წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებაში ფიქსირებული შემთხვევებისა.

5.8 გამგეობის შემადგენლობაში ცვლილებები ხდება საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების შესაბამისად.

5.9 გამგეობა ქმედუნარიანია გადაწყვეტილების მიღებისას მინიმუმ 3 წევრის მონაწილეობის შემთხვევაში.

5.9 გამგეობის თავმჯდომარე:

5.9.1 გამგეობის თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციას სრული უფლებამოსილებით მესამე პირებთან ურთიერთობაში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

5.9.2 ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, გამგეობასთან შეთანხმებით იძენს და განკარგავს ფონდის ქონებას;

5.9.3 ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ხელს აწერს საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

5.9.4 საერთო კრებას წარუდგენს წლის ბიუჯეტს;

5.9.5 საერთო კრების წინაშე პასუხისმგებელია გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგზე;

5.9.6 ახორციელებს კანონმდებლობით, წესდებით და გამგეობის მიერ მინიჭებული - უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობას.

5.9.7 გამგეობის თავმჯდომარე თავმჯდომარეობს საერთო კრებას.

5.10 გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე (გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე).

5.11 სამეთვალყურეო საბჭო:

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს წლის განმავლობაში გამგეობის მუშაობის მონიტორინგს. 3 კაციანი წევრების შემადგენლობა ირჩევა 3 წლის ვადით.

5.11.1 ყოველი შემდგომი ახალი წევრების არჩევა ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ;

5.11.2 ყოველ დასახელებულ ახალ კანდიდატებს შორის უნდა იყოს მინიმუმ ერთი წევრი წინა სამეთვალყურეო საბჭოდან;

5.11.3 სამეთვალყურეო საბჭოში კანდიდატების დასახელების უფლება აქვს წევრთა მეთედს;

5.11.4 წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია შეიძლება იყოს ანაზღაურებადი;

5.11.5 საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე;

5.11.6 სამეთვალყურეო საბჭო ასოციაციის საერთო კრებას წარუდგენს წლის მონიტორინგის სამუშაოების ანგარიშს.



5.12 აღმასრულებელი დირექტორი:

- 5.12.1 აღმასრულებელი დირექტორი წარმოადგენს ასოციაციას სრული უფლებამოსილებით (გამგეობის თავმჯდომარისგან დამოუკიდებლად) მესამე პირებთან ურთიერთობაში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- 5.12.2 ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს და მართავს პროექტებს.
- 5.12.3 ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს;
- 5.12.4 აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე დანიშნული პირი უნდა იყოს ასოციაციის წევრი;
- 5.12.5 ანგარიშვალდებულება საერთო კრებასთან და წლის განმავლობაში გამგეობასთან;
- 5.12.6 საერთო კრებას წარუდგენს მიმდინარე პროექტების ანგარიშს და წლიურ ბიუჯეტს;
- 5.12.7 ხელმძღვანელობს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას და წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- 5.12.8 აღმასრულებელი დირექტორი მუდმივ დიალოგშია გამგეობასთან და მოქმედებს მასთან შეთანხმებით;
 - 5.12.8.1 აღმასრულებელი დირექტორის უფლება მოვალეობები შეიძლება შეიცვალოს პროექტებიდან გამომდინარე. აღმასრულებელი დირექტორის კონკრეტულ უფლება-მოვალეობები და ანგარიშვალდებულება დგინდება გამგეობის ოქმით როელშიც ასევე განისაზღვრება უფლებამოსილების პერიოდი.
 - 5.12.8.2 აღმასრულებელი დირექტორი არ არის უფლებამოსილი გამგეობის და საერთო კრების თანხმობის გარეშე აიღოს სესხები და კრედიტები. სესხების და კრედიტების აღებას სჭირდება ორივე ხელმძღვანელი ორგანოს თანხმობა;
 - 5.12.8.3 უძრავი ქონების გასხვისებასთან ან სხვაგვარი უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები არ არის აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენცია.
- 5.12.9 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ენიჭებათ გამგეობის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ დირექტორს. აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია წარმოადგინოს ასოციაცია მხოლოდ იმ საკითხებში, რაზედაც არსებობს გამგეობის გადაწყვეტილება.

5.13 მრჩეველთა საბჭო:

გამგეობა 3 წლის ვადით ირჩევს სათათბირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა დარგის ექსპერტები. მრჩეველთა საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ გამგეობის მოწვევით. მრჩეველთა საბჭოს წევრობა შეიძლება იყოს ანაზღაურებადი. წევრების დანიშვნა და განთავისუფლების წესი განსაზღვრავრება გამგეობის აქტით.

VI. ასოციაციის ქონება

6.1 ასოციაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანებით, შემოწირულობებისა და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლებისაგან.



6.2 ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნებს.

VII. ასოციაციის წევრები

7.1 ასოციაციის წევრები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები რომლებიც გაეცნენ და ეთანხმებიან ასოციაციის წესდებას, მის მისიას, მიზნებს და ხელს უწყობენ ასოციაციის განვითარებას.

- 7.1.1 ასოციაციაში მიიღებიან ფიზიკური პირები ინდივიდუალური წევრობის საფუძველზე;
- 7.1.2 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს არანაკლებ სრული ზოგადი განათლების მქონე ფიზიკური პირი 18 წლის ასაკიდან;
- 7.1.3 წევრობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება ან შრომის უსაფრთხოების სფეროში მიღებული სპეციალობა;
- 7.1.4 კანდიდატი უნდა ეთანხმებოდეს ასოციაციის წესდებას და ასევე აღიარებდეს ორგანიზაციის პრინციპებს.
- 7.1.5 წევრები მონაწილეობენ ასოციაციის საერთო კრებაში და თითოეულ ასოციაციის წევრ ფიზიკურ პირს გააჩნია ერთი გადამწყვეტი ხმა;

7.2 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი იურიდიული პირი:

- 7.2.1 იურიდიული პირის გაწევრიანების საკითხი განიხილება თუ:
 - 7.2.1.1 წევრობის მსურველ იურიდიული პირის პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირი მიმართავს ასოციაციას განცხადებით;
 - 7.2.1.2 წევრობის მსურველ ორგანიზაციაში ასოციაციამ შეაფასა, დანერგა ან გააუმჯობესა შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა;
- 7.2.2 გაწევრიანებულ იურიდიულ პირს, კრებაზე წარმოადგენს დირექტორი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.
- 7.2.3 ნებისმიერ წევრ იურიდიულ პირს გააჩნია ერთი წევრის ხმა მიუხედავად იმისა თუ რამდენი პირი არის გაწევრიანებული აღნიშნული ორგანიზაციიდან.

7.3 ასოციაციაში გაწევრიანების პროცესი იწყება წერილობითი ან ელექტრონული განცხადების საფუძველზე;

7.4 ახალი წევრის გაწევრიანების გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა მსურველი კანდიდატის განაცხადის განხილვის და მსურველთან გასაუბრების შემდეგ.

7.5 ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ:

- 7.5.1 მონაწილეობდნენ ასოციაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;
- 7.5.2 ფლობდნენ ინფორმაციას ასოციაციის საქმიანობის შესახებ;
- 7.5.3 მიიღონ მონაწილეობა ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში;
- 7.5.4 მიიღონ კონსულტაციები პროფესიონალური საქმიანობის წარმატებული განხორციელებისათვის;
- 7.5.5 წარმოადგინონ წინადადებები საერთო კრებაზე და გამგეობაში ასოციაციის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით;



7.5.6 მიიღოს ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოდან;

7.5.7 დასახელებულ იქნეს კანდიდატად და არჩეულ იყვნენ ორგანიზაციის გამგეობაში ერთი კალენდარული წლის წევრობის შემდეგ (მუხლი 7.5.7 ამოქმედეს 2022 წლიდან);

7.6 ყოველ წევრს აგრეთვე უფლება აქვს ნებაყოფლობით გავიდეს ასოციაციიდან და აღნიშნულის შესახებ ერთი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს ასოციაციის გამგეობას რის შესახებაც ხდება დოკუმტირებული გადაწყვეტილების დაფიქსირება გამგეობის მომდევნო სხდომაზე.

7.7 ასოციაციის თითოეული წევრი ვალდებულია:

7.7.1 დაიცვას ასოციაციის შინაგანაწესი;

7.7.2 ხელი შეუწყოს ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების გადაჭრას.

7.7.3 მიიღოს მონაწილეობა საერთო კრების მუშაობაში და არ დასწრების შემთხვევაში წერილობით შეატყობინოს გამგეობას (მიზეზის მითითებით ასოციაციის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე: info@osha.org.ge).

7.7.4 გადაიხადოს ასოციაციის ყოველწლიური საწევრო გადასახადი გამგეობის მიერ დადგენილი საწევრო გადასახადის ოდენობის მიხედვით.

7.8 ასოციაციის წევრობის შეჩერების ან შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა. წევრობის შეწყვეტის მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

7.8.1 ასოციაციის შინაგანაწესის უხეში დარღვევა და შეუფერებელი მოქმედება.

7.8.2 საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში;

7.8.3 არასაპატიო მიზეზით ან გაუფრთხილებლად საერთო კრების არდასწრებების შემთხვევებში;

VIII. ასოციაციის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და ქონების განაწილების წესი

8.1 ასოციაციის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

8.2 ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება:

- საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- რეგისტრაციის გაუქმებისას - კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8.3 გადაწყვეტილებას ასოციაციის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის შესახებ იღებს ასოციაციის წევრთა საერთო კრება ხმათა ორი მესამედით.

8.4 ლიკვიდაციას ახორციელებს ასოციაციის გამგეობა, ხოლო განსაკუთრებული გარემოების არსებობისას სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორები.

8.5 ლიკვიდაციის შემთხვევაში, გამგეობის წევრები ვალდებული არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, დაადგინონ მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება შესაძლებელია გადაცემულ იქნას საქველმოქმედო მიზნებით სხვა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვით საგანმანათლებლო ცენტრის ან ორგანიზაციისათვის.

8.6 ქონება შეიძლება განაწილდეს ლიკვიდაციის გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ.